



საგანმანათლებლო პროგრამა	სატრანსპორტო ლოგისტიკა Transport Logistics	
უმაღლესი განათლების საფეხური	II საფეხური (მაგისტრატურა)	
მიმართულება სპეციალობა სპეციალიზაცია	ინჟინერია - 04 ტრანსპორტი - 0407 სატრანსპორტო ლოჯისტიკა - 040704	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სატრანსპორტო ლოჯისტიკის მაგისტრი	Master of Transport Logistics
სწავლების ენა	ქართული	
პროგრამის მოცულობა	120 ECTS აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს 60 ECTS კრედიტს (სემესტრში - 30 კრედიტი). სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით დასაშვებია სტუდენტის წლიური დატვირთვა იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა (ბნსუ-ში 1 კრედიტი = 26 სთ). პროგრამის ხანგრძლივობა - 4 სემესტრი. წინამდებარე პროგრამით გათვალისწინებული მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება პროგრამის მოთხოვნათა შესრულებით არანაკლებ 120 კრედიტის დაგროვების შედეგად.	
პროგრამის დამტკიცების აქტი	აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება (ოქმი №05, 20.04.2018)	
აკრედიტაცია	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №10, 16.01.2019	
პროგრამის ხელმძღვანელი	ქ. გოლეთიანი, პროფესორი თ. აფხაზავა, პროფესორი	

<p>პროგრამაზე დაშვება</p>	<p>საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად – არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. დამატებითი მოთხოვნა – ინგლისური ენის ფლობა B2.1 დონეზე. შიდა გამოცდები ტარდება ლოგისტიკის საფუძვლებში და ინგლისურ ენაში (ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით შიდა გამოცდების საკითხები წინასწარ განთავსდება ბნსუ-ს ვებგვერდზე www.bntu.edu.ge). ინგლისურ ენაში გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება იმ მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტს (მაგ.: უცხოეთში/საქართველოში ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატი/დიპლომი), უცხოეთის/საქართველოს უსდ-ს მიერ გაცემული შესაბამისი ინფორმაციის შემცველი დიპლომის დანართი/ცნობა/სხვ., შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის/წარმომადგენლობის/სხვ. მიერ გაცემული სერტიფიკატი/მოწმობები/სხვ., საერთაშორისო სერთიფიკატი (მაგ., ტოიფელი (TOEFL PBT), ტოიფელი (TOEFL IBT), ბრიტანეთის საბჭოს და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS), ბრიტანეთის საბჭოს და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam), კემბრიჯის უნივერსიტეტის (Cambridge ESOL Examination) და/ან სხვ.). წინამდებარე პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება სამაგისტრო გამოცდის (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესის შესაბამისად). წინამდებარე პროგრამაზე სწავლა რეკომენდირებულია ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე იმ პირთათვის, რომელთა კვალიფიკაცია მიეკუთვნება წინამდებარე პროგრამის მიმართულებას და/ან სპეციალობას. ამავე დროს, მაგისტრატურაში სწავლის ერთ-ერთი მიზნიდან (სპეციალობის შეცვლა) გამომდინარე, სხვა მიმართულებაში/სპეციალობაში კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია თავად განსაზღვროს წინამდებარე პროგრამით სწავლის მიზანშეწონილობა (გაცენოს ვებგვერდზე განთავსებული პროგრამის აღწერილობას, გაესაუბროს პროგრამის ხელმძღვანელს, მიიღოს/დააზუსტოს ინფორმაცია პროგრამის შესახებ, მიიღოს რეკომენდაციები მისი კვალიფიკაციისა და პროგრამის სპეციფიკის შესაბამისობიდან გამომდინარე და სხვ.). საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების მაგისტრანტებისთვის (მაგისტრანტების მიერ უკვე მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა წინამდებარე პროგრამასთან დადგინდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბნსუ-ში არსებული, განათლების (კრედიტების) აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაციებით).</p>
<p>პროგრამის სტრუქტურა</p>	<p>პროგრამის სტრუქტურა 120 კრედიტის ფარგლებში მოიცავს სასწავლო კომპონენტს (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, სავალდებულო პრაქტიკა) და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს (სამაგისტრო ნაშრომი), რომელთა შესწავლის თანმიმდევრობა უზრუნველყოფს ცოდნის გადაცემას პრინციპით „ზოგადიდან კერძოსკენ, მარტივიდან რთულისაკენ“ და უკვე შეძენილი ცოდნისა და უნარების ეტაპობრივად განვითარებას.</p>
<p>პროგრამის აქტუალობა და შეთავაზების მიზეზი</p>	<p>საქართველო მდებარეობს ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, სადაც სტრატეგიული დანიშნულების ტვირთების ტრანსპორტირება ხორციელდება. შესაბამისად, საქართველო წარმოადგენს „ევროპა-კავკასია-ცენტრალური აზიის ინტერმოდალური სატრანსპორტო ლოგისტიკური სისტემის“, ანუ უმნიშვნელოვანესი ლოგისტიკური დერეფნის საკვანძო პუნქტს (HUB). მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის ფონზე და საქართველოს მდებარეობიდან გამომდინარე ქვეყნის ეკონომიკის განვითარება პირდაპირ კავშირშია სატრანსპორტო სექტორების გამართულ და ეფექტიან მუშაობაზე. გამართული სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემა განაპირობებს მაღალი ხარისხის სერვისს, იაფ და ეფექტურ მიწოდების ქსელს, რაც უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს ქვეყნის შიგნით და გარეთ კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი მიზანი ტრანსპორტირების და ლოგისტიკის სფეროებში საქართველოს რეგიონის ლიდერად გადაქცევაა. გაიზრდება როგორც მოძრაობის ინტენსივობა და ტვირთბრუნვა, ასევე, გადაუმავებელი ტვირთის მოცულობა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდას. ასევე, მნიშვნელოვანია საქართველოს ინტეგრაცია საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის განვითარება. ასეთი რეალობისა და პერსპექტივის გათვალისწინებით, აუცილებელია სატრანსპორტო ლოგისტიკის დარგში სპეციალისტების მოზადება, რათა ეფექტურად გადაწყდეს საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების მართვის დარგში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების არსებობის საკითხი. ამდენად, ძალზე აქტუალურია სატრანსპორტო ლოგისტიკის სფეროში მაღალკვალიფიციური, თანამედროვე თეორიული ცოდნის მქონე და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული კადრების მოზადება, რომლებიც შეძლებენ სატრანსპორტო-საექსპედიტორო და ლოგისტიკური ფირმების ბიზნეს-სტრატეგიების შექმნასა და დაგეგმარებას, საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნებში ყველა სახის სატრანსპორტო გადაზიდვების ეფექტურ მართვას, ორგანიზაციული სტრუქტურების განვითარებას, ლოგისტიკის განვითარებისა და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის გაზრდისთვის შესაბამისი ღონისძიებების/პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას და სხვ.</p>
<p>პროგრამის მიზანი</p>	<p>მოზადდეს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო შრომის და განათლების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური კადრები სატრანსპორტო ლოგისტიკის სფეროში, რომლებიც შეძლებენ უზრუნველყონ კონკურენტულ ბიზნეს-გარემოში სატრანსპორტო გადაზიდვების განმახორციელებელი ფირმების ეფექტიანი ფუნქციონირება და მდგრადი განვითარება, ლოგისტიკური პრობლემების გადაწყვეტა და ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავება, ლოგისტიკისა და სატრანსპორტო-ლოგისტიკური სერვისის სპეციფიკის გათვალისწინებით ლოგისტიკური საქმიანობის წარმართვა, მატერიალური ნაკადებისა და მიწოდებათა ჯაჭვის, საწარმოო შეკვეთების და მარაგების, ფიზიკური განაწილების მართვა, მიზნობრივი მომხმარებლის მოთხოვნების ეფექტური დამკაყოფილება, მარაგების მართვის, წარმოებისა და განაწილების როგორც ერთიანი ნაკადის შესწავლა, ლოგისტიკური პროცესების ანალიზი და ოპტიმიზაცია, ანალიტიკური, საკონსულტაციო, საორგანიზაციო-სამმართველო საქმიანობა, საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნებში ლოგისტიკური ჯაჭვის მულტიმოდალური გადაზიდვების ორგანიზება, სატრანსპორტო ლოგისტიკის სამართლებრივი რეგულირება, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით ლოგისტიკური პროცესების მართვა,</p>

ინგლისურ ენაზე სატრანსპორტო ლოგისტიკის ტერმინოლოგიის პროფესიულ საქმიანობაში გამოყენება და სხვ.; მისცეს პროგრამის კურსდამთავრებულს როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ აკადემიური უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე (დოქტორანტურაში) სწავლის გაგრძელების, პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში კომპეტენციების და შესაძლებლობების სრული რეალიზაციის და კარიერული წინსვლის შესაძლებლობა.

სწავლის შედეგები (კურსდამთავრებულის დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები)

ცოდნა და გაცნობიერება

- კურსდამთავრებულმა იცის და აქვს გააზრებული სატრანსპორტო ლოგისტიკის სფეროს ისეთი კომპლექსური საკითხები, როგორცაა:
- საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნების და სისტემის ფორმირების და პროექტირების მეთოდები, საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნებში ლოგისტიკური ჯაჭვის მულტიმოდალური გადაზიდვების ორგანიზების სქემები, სატრანსპორტო კომუნიკაციების შერჩევის კრიტერიუმები;
 - ლოგისტიკური სისტემების ინტეგრაციის, დაგეგმვისა და პროექტირების მეთოდები. ლოგისტიკური სტრატეგიების ფორმულირება, ლოგისტიკური სისტემების შესაძლებლობები, ლოგისტიკური პროექტის დანერგვისა და რეალიზაციის შესახებ რეკომენდაციები;
 - სატრანსპორტო-ლოგისტიკურ სისტემებში მარაგების მართვასთან დაკავშირებული, მართვის თანამედროვე მეთოდები, სისტემური კვლევები და ანალიზი. მარაგების მოცულობის და დაკვეთის პარამეტრების განსაზღვრა, პროექტირება, მარაგების მართვის და კონტროლის მექანიზმები;
 - საერთაშორისო სატრანსპორტო ხელშეკრულებები, სატრანსპორტო-საექსპედიტორო კომპანიების კონკურენტუნარიანობის შეფასების მეთოდები, სატრანსპორტო-საექსპედიტორო ოპერატორული კომპანიების ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდები და ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. ექსპედიტორების საერთო ეროვნული პირობები, FIATA-ს ტიპური საექსპედიტორო წესები, ლოგისტიკური პროვაიდერების მუშაობის თანამედროვე მეთოდები.ექსპედიტორების სისტემის მოდელები. სატრანსპორტო-ლოგისტიკური სერვისის ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზები, საქონელგანმარკულაჟებული ქაღალდების ფუნქციები და დოკუმენტების შეფასების წესები, საქონლის ინდენტიფიკაციის სპეციფიკა საქონელგანმარკულაჟებულ დოკუმენტში. ტვირთის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის ძირითადი პირობები, ტვირთის დაზღვევის, ტვირთის გადაზიდვისა და ადგილზე მიტანის პასუხისმგებლობის თავისებურებები; INCOTERMS - International commercial terms – მყიდველისა და გამყიდველის მოვალეობები და სატრანსპორტო პირობები;
 - სატრანსპორტო საშუალებებისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნები და მათი მაჩვენებლები. კონკრეტული გადაზიდვისათვის სხვადასხვა სახის ტრანსპორტის შერჩევის კრიტერიუმები და მოთხოვნები ხარისხისადმი, სატრანსპორტო პროცესის თითოეული ელემენტის ადგილი სატრანსპორტო ლოგისტიკურ სისტემაში, ტრანსპორტირების ალტერნატივები და ლოგისტიკური შუამავლების შერჩევის კრიტერიუმები, გადაზიდვების შერეული (კომბინირებული), ინტერ (მულტი) მოდალური ტექნოლოგიები;
 - სპეციფიკური ინფორმაციული და საკომუნიკაციო სისტემების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი და გავლენა ექსპედიტორებაში, მონაცემთა და მონაცემთა ბაზების კონცეფციები, განმარტებები, მტრის-კოდი, მტრის-კოდების სტანდარტები და სიმბოლიკა, მონაცემთა ერთობლივი დამუშავების პრინციპები;
 - პროექტების მართვის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები და MsProject-ის პროგრამული პაკეტის თავისებურებები და გამოყენების შესაძლებლობები;
 - მიწოდების ჯაჭვის ლოგისტიკური ოპერაციების სტრატეგიული დაგეგმვის და მართვის მეთოდები, ქსელური სტრუქტურა, ბიზნეს-პროცესების კავშირის სახეები, მიწოდებათა ჯაჭვში მიმდინარე ბიზნეს-პროცესები, მიწოდებათა ჯაჭვის მართვის ძირითადი კომპონენტები, სტრატეგიული დასაწყობების ეკონომიკური ბენეფიტიები, სასაწყობო და სატერმინალი ოპერაციები, ტვირთდამუშავებისადმი წაყენებული მოთხოვნები, ტვირთების კლასიფიკაცია და შენახვის მეთოდები, ტვირთდამუშავების ძირითადი მეთოდები, მექანიზებული სისტემები, სასაწყობო კომპლექსები და ლოგისტიკური ცენტრები, მიწოდების ჯაჭვის გლობალური სტრატეგიები, მიწოდების ჯაჭვის ოპერაციების ანალიზის მეთოდები, ტექნიკა, დანახარჯების კლასიფიკაცია და ტარიფების თეორია;
 - საერთაშორისო სავაჭრო და სატრანსპორტო დოკუმენტაციის წარმოების წესები, შესაბამისი საკანონმდებლო ასპექტები და კონვენციები;
 - კომერციული დოკუმენტაციის წარმოების სპეციფიკა, მათი შინაარსი და განმარტება.
 - ადამიანური რესურსების მართვის კონცეფციები კომპანიებში;
 - ორგანიზაციული სტრუქტურის კლასიკური კონცეფციები;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- კურსდამთავრებულს შეუძლია:
- საერთაშორისო გადაზიდვების პროექტირება და მართვა მაკრო და მიკრო სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემებისთვის ცალკეულ გეოგრაფიულ რაიონებს შორის;
 - სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვება-შესწავლა და კომპლექსური პრობლემების ახალი გზების ძიება, მოქმედებების სწორად დაგეგმვა და განხორციელება, ლოგისტიკური სისტემების პროექტირება და ლოგისტიკური სისტემების მოდელირება;
 - მარაგების დაგეგმვა, რაოდენობრივი და საპროგნოზო მაჩვენებლების, დანახარჯების პერიოდული ანალიზი, მარაგების სარეზერვო, ოპტიმალური და რენტაბელური მოცულობების გამოთვლა. მარაგების მართვის კონტროლის მექანიზმების შემუშავება;
 - სხვადასხვა სახის საერთაშორისო ოპერაციების განხორციელება, სერვისის ხარისხის ამაღლება, სერვისული მომსახურების შეფასება, სატრანსპორტო-ლოგისტიკური მომსახურების ხარისხის განსაზღვრა;
 - FIATA-ს ტიპური საექსპედიტორო წესების გამოყენება და საერთაშორისო სატრანსპორტო ხელშეკრულებების შევსება. Incoterms-2010 მიწოდებათა პირობების გამოყენება საერთაშორისო ბიზნესში;
 - ტრანსპორტირების ალტერნატივების და ლოგისტიკური შუამავლების შერჩევა, სატრანსპორტო სისტემებში ტვირთნაკადების დაგეგმვა და მართვითიზაცია;
 - სხვადასხვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემების დანერგვა და პრაქტიკაში გამოყენება ექსპედიტორებისა და სხვადასხვა დაგეგმილი პროექტის მარტივად განხორციელების მიზნით;

	<ul style="list-style-type: none"> პროექტების შედგენა, მართვა და კონტროლი MsProject-ის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით; მიწოდების ჯაჭვის ლოგისტიკური ოპერაციების ოპტიმიზაცია, ლოგისტიკური ქსელის აგება და მართვა, ტვირთდამუშავებისა და შენახვის პროცესების მართვა მიწოდების ჯაჭვის ოპერაციების ტარიფების განსაზღვრა და დანახარჯების გამოთვლა; სატრანსპორტო-ლოგისტიკურ და კომერციულ პროცესებთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების, საერთაშორისო რეგულაციების, სტანდარტების, კოდექსებისა და რეკომენდაციების გამოყენება; სატრანსპორტო გადაზიდვებში არსებული კომერციული დოკუმენტაციის (Bill of Lading, Charter Party, Notice of Readiness, Cargo Manifest, Contracts, Import-Export Documentations, Certificate of Shipment and etc.) წარმოება, ანგარიშებისა და საქმიანი წერილების მოწოდება, ზეპირი და წერილობითი ბიზნესკომუნიკაცია ინგლისურ ენაზე ექსპორტ-იმპორტისა და ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის შესაბამისი ლექსიკური კონსტრუქციების გამოყენებით. საწარმოში საკადრო პოლიტიკის წარმართვა, ეფექტიანი საორგანიზაციო სტრუქტურების შემუშავება; ორგანიზაციული კულტურის შეფასება და შენარჩუნება;
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნებში მულტი- და ინტერმოდალური ნაკადების პროგნოზირება; ლოგისტიკური სისტემების შესახებ მონაცემთა შეგროვება და ანალიზი. უახლეს ინფორმაციაზე დაყრდნობით ლოგისტიკურ მონაცემთა წყაროების განსაზღვრა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; მაკრო- და მიკრო- სატრანსპორტო-ლოგისტიკური კონკრეტული და ახალი, გაუთვალისწინებელი მოცულობის პირობებში მარაგების დაგეგმვის, მოცულობათა განსაზღვრის, კონკრეტული მეთოდების გამოყენების, მართვისა და მონიტორინგის, სარეზერვო და ოპტიმალური პარამეტრების განსაზღვრისას სწორი დასკვნების ჩამოყალიბება და დასაბუთება; ტვირთების გადაზიდვის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირება და სიტუაციის ანალიზი, მოსალოდნელი რისკის შეფასება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, ლოგისტიკური სერვისის ოპტიმალური მოდელის შეფასება და სხვადასხვა სახის ტრანსპორტის შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრა; სატრანსპორტო საშუალებებისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნების და მათი მაჩვენებლების შეფასება და ანალიზი; სამუშაოს შესრულების მიზნით სხვადასხვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემების შერჩევა-შეფასება, მონაცემთა ბაზების უპირატესობებისა და საფრთხეების იდენტიფიცირება, პროექტის შესრულების მონიტორინგი, შედეგების შეფასება და გადაწყვეტილების მიღება; მიწოდების ჯაჭვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასება, კრიტიკული ანალიზი, შეფასებისა და მართვის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების და დასაბუთებული დასკვნების შემუშავება; საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინებით წარმოქმნილი პრობლემის იდენტიფიცირება, სიტუაციის/პრობლემის შეფასება, მონაცემების და ინფორმაციის მოძიება, შეგროვება, განმარტება, განზოგადება, დაკონკრეტება; ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სფეროსთან დაკავშირებული რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და შეფასება, დასკვნის ჩამოყალიბება და დასაბუთება. ორგანიზაციაში არსებულ პრობლემათა და მოქმედი ფაქტორთა ანალიზი.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ინფორმაციის გამოყენება აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით, ქართულ და ინგლისურ ენებზე ტრანსპორტის და ლოგისტიკის საკითხებზე დოკუმენტაციის წერილობით შედგენა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და აქტუალური მონაცემების/ინფორმაციის გამოყენებით პრეზენტაციის ან/და პროექტის დამოუკიდებლად მომზადება, თავისი დასკვნების, არგუმენტაციის და კვლევის წარმოჩენა აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან, დამაჯერებელი, მკაფიო, დამოუკიდებელი და კომპეტენტური წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია ლოგისტიკისა და ტრანსპორტის სპეციფიკურ საკითხებთან და აქტუალურ პრობლემებთან მიმართებაში; ტრანსპორტის და ლოგისტიკის სფეროსთან დაკავშირებული წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის ანალიზი, შეფასება და ზეპირი და წერილობითი ფორმით მოსაზრების ჩამოყალიბება, არგუმენტების მოყვანა და დასკვნის დასაბუთება. დისკუსია და ეფექტიანი კომუნიკაცია, კეთილგანწყობილი ურთიერთობების დამყარება, კონფლიქტების მოგვარება.
<p>სწავლის უნარი</p>	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> მაგისტრატურაში მიღწეული კომპეტენციების ობიექტური თვითშეფასება, უწყვეტი განათლების პრინციპის გაზიარება, სწავლის პროცესის თავისებურებების გაგნობიერება, სტრატეგიული დაგეგმვა, სპეციალური ლიტერატურის დამოუკიდებლად დამუშავება, სატრანსპორტო ლოგისტიკასთან დაკავშირებული ინოვაციური მიდგომების და მოწინავე გამოცდილების გაზიარება, უახლესი მონაცემების ანალიზი და ინფორმაციის დამოუკიდებლად ათვისება, კომპეტენციების სრულყოფა და მუდმივი განახლება.
<p>ღირებულებები</p>	<p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> გაცნობიერებული ეთიკური ნორმების დაცვის მნიშვნელობა და სატრანსპორტო ლოგისტიკის სფეროს სამართლებრივი ნორმების გათვალისწინების აუცილებლობა, პროფესიონალური და პიროვნული პასუხისმგებლობა, ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების უნარი და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის მოტივაცია.

სწავლება-სწავლის მეთოდები

სწავლება-სწავლის პროცესში, პროგრამის კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენება მაგისტრანტებისთვის ცოდნის გადაცემის ისეთი საშუალებები, როგორც: ინტერაქციული ლექცია, სამუშაო ჯგუფი მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს შესაბამის აქტივობებს (მაგ., დისკუსია, დემონსტრირება, პრეზენტაცია და სხვ.). სწავლება-სწავლის პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება და მეთოდების კომბინირება, რაც მიმართულია სასწავლო და კვლევით პროცესში მაგისტრანტთა აქტიურ ჩართულობაზე, კვლევითი და სხვა უნარების (სიტუაციის კრიტიკული შეფასების, პრობლემების გადაჭრის მიზნით ახალი, ორიგინალური გზების ძიების და გადაწყვეტილების მიღების, დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით შესასრულებელი სამუშაოს სტრატეგიულად და რაციონალურად დაგეგმვის, კვლევის მეთოდების შერჩევისა და კვლევის ჩატარების, რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის, შედეგების შეფასების და ინტერპრეტაციის, პროფესიონალურ დონეზე დისკუსიის წარმართვის და სხვ.) ჩამოყალიბებაზე და უკვე არსებული განვითარებაზე. გამოყენებული მეთოდები უზრუნველყოფენ პროგრამის კომპონენტით დაგეგმილი დარგობრივი და/ან ზოგადი კომპეტენციების მიღწევას, ხოლო პროგრამის ყველა კომპონენტში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა – პროგრამით დაგეგმილი კურსდამთავრებულის დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციის ჩამოყალიბებას.

სტუდენტის შეფასების ზოგადი წესი

მაგისტრანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით: 1) პროგრამის სასწავლო კომპონენტი - მათი შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას (max 60 ქულა) და დასკვნით შეფასებას (max 40 ქულა), ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (მითითებულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში). დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს; 2) პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მითითებულია შესაბამის სილაბუსში). წილადის სახით მიღებული შეფასების ქულა მთელ რიცხვამდე მრგვალება დამრგვალების წესის შესაბამისად: 4 და ნაკლები - სიმცირისკენ, 5 და მეტი - მეტობისკენ. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბნუს-ში მაგისტრანტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა უშვებს 5 დადებით და 2 უარყოფით შეფასებას.

პროგრამის კომპონენტები		max 100 ქულა	შეფასების ფორმები
1	სასწავლო კომპონენტი: სასწავლო კურსები პრაქტიკა	60	შუალედური შეფასება
		40	დასკვნითი შეფასება
2	სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი: სამაგისტრო ნაშრომი	-	შუალედური შეფასება
		100	დასკვნითი შეფასება

შეფასების სისტემა			max 100 ქულა
დადებითი შეფასებები			
1	ფრიადი	A	max შეფასების 91% და მეტი
2	ძალიან კარგი	B	max შეფასების 81-90%
3	კარგი	C	max შეფასების 71-80%
4	დამაკმაყოფილებელი	D	max შეფასების 61-70%
5	საკმარისი	E	max შეფასების 51-60%
უარყოფითი შეფასებები			
1	ვერ ჩააბარა	FX	max შეფასების 41-50%
2	ჩაიჭრა	F	max შეფასების 40% და ნაკლები

Fx შეფასება ნიშნავს, რომ მაგისტრანტს მეტი მუშაობა სჭირდება და: 1) პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში; 2) პროგრამის სასწავლო კომპონენტი - მაგისტრანტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით იმავე სემესტრში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, დამატებითი გამოცდა დანიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცნადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულები. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფორმდება შეფასება F=0 ქულა. შეფასება F ნიშნავს, რომ მაგისტრანტს მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და 1) პროგრამის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი - მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას და მას ახალი ნაშრომი აქვს შესასრულებელი; 2) პროგრამის სასწავლო კომპონენტი - მაგისტრანტს სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი, ხოლო პრაქტიკა - ახლიდან გასავლელი. პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებში კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მაგისტრანტის მიერ დაგეგმილი (სილაბუსში მითითებული) სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება კანონმდებლობით დადგენილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით (min 51 ქულა).

კურსდამთავრებულის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

წინამდებარე პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უცხოეთის და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე (დოქტორანტურაში) - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც წინაპირობის სახით არ ითვალისწინებს სხვა მიმართულებაში/სპეციალობაში/სპეციალიზაციაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის საჭიროებას.

კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლო სფერო

წინამდებარე პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საჯარო და კერძო სექტორში, რომლებიც აწარმოებენ საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების დაგეგმვასა და ორგანიზებას, მათ შორის: სატრანსპორტო-საექსპლუატაციო ფირმები და ორგანიზაციები, სატრანსპორტო კომპანიები (ნავსადგური, აეროპორტი, რკინიგზა) ტერმინალები, ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის სავაჭრო-შემსყიდველი და საშუაშალო ფირმები, საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციების მმართველი კომპანიები, ფორვარდული სააგენტოები, სატრანსპორტო ადმინისტრაციები. ბნუს-თან თანამშრომლობენ სატრანსპორტო-

	<p>საექსპედიტორო კომპანიები, რომლებიც არიან ბნსუ-ს კურსდამთავრებულთა ძირითადი დამსაქმებლები. კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ბნსუ-ს დადებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულებები/მემორანდუმები კომპანიებთან: შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“, შპს „ინტერლოგჯორგია“, შპს „კარგო ტრანს გრუპი“, TERO MARITIME AGENCY LTD, BATOS SHIPPING LTD, INFLOT BATUMI LTD, MGL GEORGIA (სატრანსპორტო-ლოჯისტიკური კომპანია)</p>
<p>პროგრამის მატერიალური რესურსი</p>	<p>წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში - ბნსუ) ბაზაზე შესაბამისი მატერიალურტექნიკური რესურსების გამოყენებით. ბნსუ-ს ბაზა მოიცავს თანამედროვე ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებს, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახებს, ბიბლიოთეკას (წიგნალი (ბეჭდვური და ელ.მატარებლებზე), ვიდეო- და აუდიო- ფონდები, თვალსაჩინოები, საერთაშორისო Witherbys Library; Openbiblio.ge ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობა), ლინგვაფონის კაბინეტს, კომპიუტერულ ცენტრებს, სხვ. პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრაქტიკას მაგისტრანტები გადიან ბნსუ-ს პარტნიორ კომპანიებში (სატრანსპორტო-საექსპედიტორო კომპანიები, ნავსადგური, ტერმინალი, შემოსავლების სამსახური და სხვ.).</p>
<p>პროგრამის ადამიანური რესურსი</p>	<p>პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ ბნსუ-ს აფილირებული აკადემიური პერსონალი და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტები, რომელთაც აქვთ წინამდებარე პროგრამის სწავლის შედეგების გამოუმუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენციები, დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული საქმიანობის გამოცდილება, სპეციალური მომზადება და სხვ.</p>